

ქართული კულტურის ისტორიაში ანტიკურ ხანას (ძვ. წ. VI—ახ. წ. III სს.) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ დროისათვის ყალიბდებოდა ეროვნული თვითშეგნება, თვითმყოფად სახეს იღებდა ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი შრომა-გარჯით შექმნილი სულიერი თუ ნივთიერი ფასეულობანი — სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმები, ზნეობა და მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივი დანიშნულების არქიტექტურულად სრულყოფილი ნაგებობები, ტაძრები და ციხე-გალავნები. ყალიბდებოდა ქართველობისათვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები, სახელმწიფოებრივი რელიგია, ადათ-წესები, ესთეტიკური აზროვნების ძირითადი პრინციპები, ქართული სამეურნეო ტიპი, მიწათმოქმედ-მევენახეთა ყოფითი კულტურის ძირითადი ელემენტები. საქართველოს ისტორიის ამ ათასწლოვან მონაკვეთზე, მეზობელი, აზიისა თუ ევროპის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ჰეგემონიის დროს, ბუნებრივია, ძლიერდებოდა უცხო კულტურის ზეგავლენა სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე. ზოგჯერ ქვეყნის მმართველი ზედაფენა, ესა თუ ის დინასტია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირან-პართიისა თუ საბერძნეთ-რომის სამეფო კართან, ითვისებდა მათი უმაღლესი არისტოკრატიის ცხოვრების ნორმებსა და ფუფუნების საგნებს. გარდა ამისა, ეთნიკურად ზრელი მოსახლეობა ცხოვრობდა საქართველოს დიდ, საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზებზე განლაგებულ და სტრატეგიულად კარგად დაცულ ქალაქებში. უძველესი დროიდან, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით — ძვ. წ. VI საუკუნიდან, მცხეთასა და ურბნისში მოსახლეობს ებრაული თემი, რომელთანაც ქართველებს ტრადიციულად საქმიანი და მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ. გარდა ამისა, ჩვენს წინაპრებს მჭიდრო კულტურული კონტაქტები ჰქონდათ ჩრდილოკავკასიურ ტომებთან, სომხებთან, ირანელებთან და ბერძნებთან. ქართული კულტურა მუშობელ ხალხებთან შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად ვითარდებოდა. ქვეყნის სულიერი ცხოვრების სასიცოცხლო ძალას ადგილობრივ, ეროვნულ ნიადაგზე საუკუნეების მანძილზე დახვეწილი ეთნოკულტურული ტრადიციები შეადგენდა. სწორედ ეს გარემოება და არა ესა თუ ის პოლიტიკური კონიუნქტურა, ცალკეული დასავლური თუ აღმოსავლური ნაკადები განსაზღვრავს ქართული კულტურის

არსს, მის თვითმყოფადობას და შესაბამისად მის კუთვნილ ადგილს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში.

1. იდეოლოგია. რელიგიური რწმენა-წარმოდგენები

პანთეონი. ანტიკური ხანის ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქართული წარმართობა, იბერიისა და კოლხეთის მწყობრი სახელმწიფოებრივი რელიგიური სისტემა. შემთხვევით როდია ხაზგასმული „ქართლის ცხოვრებაში“ ის გარემოება რომ „მკვიდრთა ქართლისიანთა დიდი სასოება აქუნდა კერძთა მიმართ“, რაც ქურუმების დამსახურება იყო.

ანტიკური ხანის ქართულ სახელმწიფოებს, ისევე როგორც მათ პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ დარჩენილ მონათესავე ტომებს, საერთო-სულიერი კულტურა, საერთო-ქართული წარმართობა აკავშირებდათ. ეს იყო საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი უძველესი კულტურის მქონე მიწათმოქმედი ხალხის მსოფლმხედველობა, სადაც გამოუცნობი ზებუნებრივი ძალების საშუალებით ხდებოდა მრავალფეროვანი გარემომცველი სამყაროსა და იქ მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ახსნა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ქრისტიანობის მიღებამდე ქართველობა „... იტყოდეს დამბადებლად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჯედისა, ღმრთად თაეყუნასა სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქვეყანისა შემოქმედად“. ჩვენი წინაპრების რელიგიური აზროვნების, როგორც სამყაროს აღქმის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენის მაჩვენებელია ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოში I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში გავრცელებული ბრინჯაოს მხატვრული სარტყლების სიუჟეტები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სახვითი ხელოვნების მაღალმხატვრული მრავალფეროვანი კომპოზიციები, რომლებიც მითოლოგიური ხასიათისაა. ზოგჯერ იქ წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი ან მშვილდისრით მონადირე ითიფალური ანტროპომორფული, როგორც ჩანს — უზენაესი ასტრალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაება. წრიულ მოძრაობაშია გადაწყვეტილი, ასტრალური სიმბოლიკით დამშვენებული, ძუძუს მწოველი ცხოველები, ფრინველები, თევზები და ქვეწარმავლები, მთელი ხილული სამყაროს, ზესკნელისა და ქვესკნელის წარმომადგენლები. სიმბოლური ნიშნებითაა (მცოცავი სპირალი, სამკუთხედები და სხვა გეომეტრიული სახეები) გადმოცემული სახსნავ-სარწყავი მი-

წები, პურის თავთავები და სხვა, ცხოველებში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა „მხენელ-მოხსევი“ ხარი.

„ქართლის ცხოვრებამ“ კარგად იცის, რომ ქართველი წარმართე-ბი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ბუნების ძალებს სცემდნენ თავ-ვანს: „რომელნიმე უგდებდეს ცასა და სხუანი მზესა და რომელნიმე მთოვარესა, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქვეყანასა და მხეცთა და ნადირთა და ხეთა“. ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. II ს. ბრინჯაოს საქამრე აეურულ ბალთებზეც ძირითადად იგივე სიუჟეტები მეორდება, მაგრამ წამყვან ადგილზე აქ ნაყოფიერების დედა-ღვთაებაა. მოცემული გამოსახულებების მიხედვით, მი-სი საღვთო ცხოველი ხარია, რომლის კულტი მთელ ანტიკური ხანის საქართველოში იყო გავრცელებული. შემთხვევით როდია ის გამო-სახული უძველეს ქართულ მონეტებზე „კოლხურ თეთრებზეც“.

ტოტემიზმის საფუძველზე აღმოცენებული ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ბუ-ნების ძალების თავყვანისცემასა და წინაპართა კულტში გადაიზარდა-ლეონტი მროველის მიხედვით, წარმართი ქართველები იყვნენ „მსა-ხურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა“, მაგრამ „მტკი-ცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“. ასევე თავყვანისცემის ობიექტი ყოფილა პირველი ქართველი მეფის ფარნა-ვანის საფლავი, რაც მოწმობს ძვ. წ. IV—III სს. და მომდევნო ეპოქებ-ში მეფის კულტის არსებობას. ასეთი საკულტო ხასიათი უნდა ჰქონო-და მცხეთის (ბაგინეთი) და ნასტაკისის (სამადლო) აკროპოლისებზე გამოვლენილ „უფალთა“ მავზოლეუმის ტიპის აკლდამებს. „ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა“ მსახურებდნენ ქართლის მეფენი, რომ-ლებსაც „კერპთმსახურთა“, ე. ი. უზენაესი ქურუმების ფუნქციებიც ჰქონდათ შეთავსებული.

ქართული წარმართული პანთეონი შვიდი ასტრალური ღვ-თაებისაგან, ანუ კერპისგან შედგებოდა. „ქართლის ცხოვ-რება“ გვამცნობს, რომ პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი „აღიზარდა მსახურებასა მას შინა შვიდთა მათ კერპთსა“. ესენი იყვნენ: ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზი-სა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყნის ნაშობთა გამო-მზრდელნი“, ანუ ნაყოფიერების ასტრალური ღვთაებები. „ქართლის ცხოვრების“ ძველ პლასტებში არაერთხელ არის მინიშნებული, რომ ეს შვიდივე კერპი ასტრალური ხასიათისაა და შვიდ პლანეტას წარ-

მოადგენს — „მზეს, მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა“. ნიშნავდა რა ქართლის მმართველად აზონს, ალექსანდრე მაკედონელს უბრძანე-ბია, „რათა პატივს სცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა“. ტრადიციულად ქართველები ანტიკურ ხანაში თავყვანს სცე-მდნენ „ძალასა და ნათლისა მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთასა“. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ არსებობდნენ: „მზისა მსახურ-ნი“, „ქურუმნი კერპთანი“, ტაძრები, ანუ „ღვთის სახლები“, „ბომო-ნი კერპთანი“, „ტაძარი საკერპო“ და „მეცნიერნი სჯულისანი“, რაც მწყობრი სახელმწიფოებრივი რელიგიური სისტემის არსებობის მაჩ-ვენებელია. მის წინააღმდეგ მიმართა ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მთელი თავისი ძალა. შემთხვევით როდი მეორდება დაჟინებით „ევს-ტათე მცხეთელის წამებაში“ ქრისტიანული ღოგმა: „მზე და მთოვა-რე და ვარსკვლავნი არა ღმერთი არიან, არამედ ღმერთთა მზესა გა-ნათლებამ და მისა უბრძანა, ხოლო ღმერთ არ არიანო“. ბალავარია-ნის ქართულ რედაქციებშიც ასევე ხაზგასმულია: „მზე და მთოვარე და ვარსკვლავნი მას დაუბადებინო“.

როგორც ვხედავთ, ქართველები თავყვანს სცემდნენ და აღმერთე-ბდნენ ბუნების ძალებსა და მოვლენებს. თავიანთი ღმერთები ჰყავ-დათ ცალკე თემებსა და საგვარეულოებს, მთას, ხევს, ადგილს, ხეებს, სახლს, ფუძეს და ა. შ. ამასთანავე, ქართველებს ჰყავდათ საერთო (უფროსი) ღმერთებიც, ტომთაშორისი და სატომო ღვთაებანიც.

ანტიკურ ხანაში ქართულ ასტრალურ პანთეონს სამეული მეთაუ-რობდა. პირველი იყო უფროსად მიჩნეული უზენაესი ან მორიგე ღმე-რთი, მეორე — ქალღმერთი მზე ან მზექალი, ხოლო მესამე — კე-რია. იერარქიის მომდევნო საფეხურებზე იდგნენ: ჯვარი ან ხატი, ღვთისშვილები (ღვთისსანახი, ღვთისნაბადები) და ა. შ. ქართველთა ყველა ღვთაება ამ დროს უკვე ანტროპომორფულ არსებებად იყო წარმოდგენილი. როგორც ირკვევა, უზენაესი ღმერთი მთვარე-ღმე-რთია, ე. ი. მამა-ღმერთია.

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ სათემო ღვთაებების ვარდა, ოდესღაც ქართველ ტომებს ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ და საერთო-ქართული წარმართობაც არსებულა, მაგალითად, კვი-რიას თავყვანისცემასთან დაკავშირებულ სევანურ წესებს წმინდა ქარ-თული წარმართული რწმენის ანარეკლი შემოუნახავს; თვით სათა-ნადო ფერხულის სიტყვებს მეფერხულე სევანები ქართულად წარმოთ-ქვამენ. ასევე, საახალწლოდ წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრული მეკ-

ვლე მეგრულად კი არა, ქართულად ამბობს ხოლმე. ივ. ჯავახიშვილი ასკენიდა, რომ არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა.

ანტიკური ხანის ქართულ წარმართულ პანთეონში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება სავარაუდებელი არ არის. თუმცა მუშქების (მესხების) ახალი ტაღლის გადმონაცვლებას ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ზოგიერთი სიახლე უნდა შემოეტანა რწმენის სფეროში, კერძოდ, ქართული წარმართული პანთეონის მეთავე სამეულში. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ეს სიახლე უმთავრესად უზენაესი ღმერთის — მთვარე-ღმერთის (მორიგე ღმერთის) ახალი სახელის — არმა-არმაზის ქართლში შემოსვლით გამოიხატა. შესაძლოა, ეს იყო ახალი დინასტიური, ფარნავაზიანთა მიერ შემოღებული კულტი. ჯერ აზომ „დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურება“, რაც გამოიხატა ვერცხლისგან გამოქანდაკებული კერპების — „გაც“ და „გაიმის“ შემოღებით. შემდგომ ფარნავაზმა, დაამხო რა აზო, „შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა“. მას უკვე უზენაესის ფუნქცია უტვირთია, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ ის „ღმერთი ღმერთად“ იხსენიება.

არსებობდა აზრი, თითქოს არმაზის კულტი ძველირანულ აპურამაზდას უკავშირდება, მაგრამ ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები ამ კავშირს არ ადასტურებს. ამ წყაროების მიხედვით, არმაზი და კიდევ რამდენიმე სხვა კერპი ქართველთა ეროვნულ ღვთაებებად არის მიჩნეული („სჯული მამათა ჩუენთა“), ცეცხლის მსახურება კი — სპარსთა სჯულის მიღებად და ქართული სჯულის შეცვლად. მაგალითად, „მეფეთა ცხოვრებაში“ მეფე ფარნაჯომის, მირვანის ძის, ზეობის ისტორიის გადმოცემისას ჯერ მოთხრობილია მის მიერ ზადენის კერპის აღმართვის ამბავი, შემდეგ კი ნათქვამია: „ამისა შემდგომად შეიყარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ“.

აპურამაზდა — არმაზის საკითხზე მსჯელობის დროს მკვლევართა ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: ქართულ წერილობით წყაროებში დაცულია არმაზის ღვთაების აღწერილობა. იგი წარმოგვიდგება ლითონის მონუმენტური ანტროპომორფული ქანდაკების სახით: „...დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალასი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუსტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა სრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა“. ძველირანულ ხელოვნებას შემოუნახავს აპურამაზდას მხოლოდ სიმბოლური ნიშნები — ფრთოსანი მზის წრე. ამას გარდა, ტექსტები, სადაც მოხსენიებულია აპურამაზდას სახელი, ადასტურებს, რომ ამ ღვთაების წარმოდგენა ანტროპომორფული სახით გამოირიცხულია. იკონოგრაფიულად ის მზის ირანულ, მეტრძოლ ღვთაებასთან მითრასთან უფრო იჩენს სიახლოვეს, რადგან მასაც „ლესული სრმალით“ გამოსახავდნენ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, არმაზთან მიახლოება სასიკვდილოდ თავგანწირვის ბადალი იყო, რაც შიშის ფაქტორზე მიგვანიშნებს ამ კულტის თაყვანისცემის პროცესში. „ქართლის ცხოვრებაში“ ხაზგასმულია, რომ „ესე არმაზ ქართველთა და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან მტრები არიან“. ეს „ითრუჯან“ — „ითრუშანი“ არმაზს დიდი ორთაბრძოლის შედეგად წყლის, წყლის სტიქიის, ზღვის მეშვეობით დაუმარცხებია. ქართული „არტომანი“ — „ითრუჯანი“ ფალაური „ათრუშან“-იდანაა ნაწარმოები და ცეცხლთაყვანისმცემელს აღნიშნავს.

ღღესათვის მიჩნეულია, რომ ამ მთვარე-ღმერთის სახელი არმაზი, რომლის სახელწოდება გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ირანულ აპურამაზდასთან, წარმოშობით ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროს უკავშირდება, სახელდობრ, იქაური მთვარის ღმერთის — არმა-ს სახელს უძველეს ღვთაებათა წინააზიური სახელი უნდა იყოს დაცული აგრეთვე ძველი ქართული კერპების — ზადენის, აინინას, დანანას სახელებშიც.

მთვარის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიური სახელის გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიიდან მუშქების (მესხების) ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმონაცვლებასთან და მათ დასახლებასთან სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში. აქ სიახლე იმაში გამოიხატა, რომ ქართველთა მამა-ღმერთს, მთვარის ღმერთს, იმ ქართველი ტომის მამა-ღმერთის — მთვარის ღმერთის სახელი (არმა-არმას-არმაზი) შეერქვა, რომელიც ამიერიდან ჰეგემონი

გახდა ქართლის სამეფოში. ამიტომ არმაზის აღიარება ქართული წარ-
მართული პანთეონის მეთაურად არსებით ცვლილებას არ წარმოად-
გენდა.

უფრო გვიან, როცა ჩვენში ქრისტიანობა დამკვიდრდა, ღვთაება
არმაზის სახელი განიდევნა, მაგრამ მთვარის თაყვანისცემა, როგორც
უზენაესი მორიგე, ბოროტებასთან მებრძოლი ღმერთისა, მამა-ღმერ-
თისა, ძალიან დიდხანს შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა, ოღონდ უკვე
წმინდა გიორგის სახითა და სახელით. ქართველთა აზროვნებაში წმი-
ნდა გიორგიმ ძველი, წარმართობისდროინდელი მთავარი ღვთაების —
მთვარის ადგილი დაიკავა. ახ. წ. II—III სს., ე. ი. უშუალოდ ქრისტი-
ანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე, საქართველოში გავ-
რცელებულია ბეჭედი—სახელები, რომელზეც გამოსახულია არმა-
ზის ტიპის მებრძოლი მხედრის კანონიზირებული ტიპი. ჩვეულებრივ,
ის ზის ფეხაწეულ ცხენზე, მოკლე წამოსასხამში, თავზე სხივებიანი
გვირგვინით. მისგან მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულია ნახევარ-
მთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებანი. ცხენის წინ დგას ცეცხ-
ლოვანი ბომონი. იქვეა სიცოცხლის ხე მასზე დახვეული გველეშაპით.
ანალოგიური გამოსახულებები აღბეჭდილია ციხიაგორის (კავთისხევ-
თან) სატაპრო კომპლექსის ძვ. წ. IV—III სს. თიხის ბულებზე, რაც
უზენაესი ღვთაების იკონოგრაფიული ტიპის დიდ მდგრადობაზე მიგვი-
თითებს. როგორც აღვნიშნეთ, შემდგომში ის წმინდა გიორგის იკო-
ნოგრაფიულმა სახემ გადაფარა.

მცირე აზიიდან მუშქების (მესხების) მოსვლას უნდა უკავშირდებო-
დეს მეორე ღვთაების—ზადენის სახელიც. მისი კერპის აღმართვას, რო-
გორც უკვე ვთქვით, საისტორიო ტრადიცია მიჩვენებს მეფის ძეს ფარნა-
ჯომს მიაწერს, ისევე როგორც ზადენის ციხის მშენებლობას: „ამან
ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან
ალაშენა ციხენი ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა
ზადენს“. შესაძლოა, ამ ადგილს ეწოდა შემდგომში ზედაზენი, ისევე
როგორც არმაზის სახელს უნდა დაეუკავშიროთ ტოპონიმი არმაზი,
მცხეთასთან.

ანტიკური საქართველო განვითარებული მიწათმოქმედებისა და
დაწინაურებული საქალაქო ცხოვრების ქვეყანა იყო, ამიტომ სრულიად
ბუნებრივია მისი პანთეონის სათავეში ღმერთების რიცხვით ფუნქციითა
მქონე ასტრალურ ღვთაებათა ყოფნა.

სვანურ წარმართულ საკულტო საგალობელში, მზისადმი მიძღვნილ
ჰიმნში „ლილეო“ კარგად ჩანს ქართველთა უზენაესი ასტრალური ქალ-
ღვთაების სიმბოლიკა: „ოქროსი ვიდვას სრასასახლე, გარს გაკრავს
ოქროს გაღვანი, გაღვანის ძირას ირმებია, ქმქონგურებზე შევარდ-
ნები. შენს საღმრთო ხარებს, მეუფეო, რქები ადვას ოქროსი!“ ოქროს
ნაწნავები ჰქონდა ნადირთა პატრონს დალის, რაც მიანიშნებს მზის
კულტთან მის მჭიდრო კავშირზე (მზის შვილია?). ქართული რწმენა-
წარმოდგენებით, ისევე როგორც ზოროასტრულ რელიგიაში, ხარი კე-
თილი საწყისის, ნაყოფიერების სიმბოლოა. სვანეთში მსხვერპლად შე-
საწირავ ხარებს აუცილებლად კვირას, ანუ „მზის დღეს“ კლავდნენ.
ძვ. წ. III ს. ბერძენი ავტორის აპოლონიოს როდოსელის თანახმად,
კოლხები მიცვალებულ მამაკაცებს ხარის გამოუქნელ ტყავში ახვევდ-
ნენ და მალა ხეზე კიდებდნენ დალის პირმშოა ოქროსკბილიანი ამი-
რანი — უბრალო მონადირის, მოკვდავის დღეაკლული შვილი, ღვთი-
ურ ძალას მოკლებული, რომელიც ხარის ფაშეში ამთავრებს ზრდა-გა-
ნვითარებას. თვით ამირანი, რომელსაც გველეშაპი ვადაყლაპავს, ასევე
მზის სიმბოლოა, ისევე როგორც მის ძმებს — ბადრსა და უსუპს მთვა-
რეს და ვარსკვლავებს უკავშირებენ. ამიტომ ბერძნული ჰელიოს —
აპოლონი თუ ირანული მითრა ადვილი შესაძლებელია დაპირისპირე-
ბოდნენ ადგილობრივ ასტრალურ კულტებს და მთვარის ღვთაებებს,
მაგრამ მათი გამოდევნა არ შეეძლოთ. ფ. ენგელსის დაკვირვებით, ერო-
ვნულ ღმერთებს შეეძლოთ სხვა ეროვნული ღმერთების შეწყნარება
თავიანთ გვერდით — ძველად კი ეს საყოველთაოდ გავრცელებული
წესი იყო, მაგრამ არა მათი თავიანთ თავზე გაბატონება; ამასთანავე,
თუ ეროვნული ღვთაებანი ვერ იცავდნენ თავისი ერის დამოუკიდებ-
ლობას, თავისთავადობას, მათ თავადაც ეღებოდათ ბოლო. ამიტომ
იყო ეროვნული და რელიგიური გრძნობები მჭიდროდ დაკავშირებული
ერთმანეთთან.

უცხო და ადგილობრივი კულტების შერწყმის, სინკრეტიზმის რთუ-
ლი პროცესის არსებობა ანტიკურ საქართველოში მრავალი მაგალი-
თით დასტურდება. ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები ვანში, კავთის-
ხევის ციხიაგორაზე, რომლებიც ძვ. წ. IV—III სს. თარიღდებიან, ამ
ტენდენციების მარვენებელია. ფიქრობენ, რომ არადეთში, „დედო-
ფლის მინდორზე“ (ახ. წ. I—II სს.) იდგა ავესტური არდავი-სურა
ანაჰიტას მსგავსი ფუნქციების მატარებელი, ნაყოფიერების, წყლის
და სიუხვის ქალღმერთის სატაპრო კომპლექსი.

ასტრალურ ღვთაებათა სამეულში მებრძოლი, ნაყოფიერების ღმერთის შემდეგ, მეორე ადგილზე იდგა ნაყოფიერების ღელა ღვთაება, რომლის იკონოგრაფიული სახე ადრეანტიკური ხანიდან ჩანს ჩამოყალიბებული: ესაა შიშველი ქალღმერთი, მკვეთრად გამოხატული სასქესო სიშნებით, ზოგჯერ ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში, მას ღმერთებისა და, საერთოდ, ყოველგვარი ცოცხალი არსების ღელადაც თვლიდნენ და ამიტომ ხშირად თვით ღელამიწასთანაც იყო გაიგივებული. მისი მეუღლეა ცის ღმერთი, რომელსაც შეიძლება ჩვენში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ითიფალური ქანდაკებები დაუკავშიროთ. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია მამრობითი და მდედრობითი სქესის შიშველი, მაგრამ ოქროს სამკაულებით მორთული პატარა ქანდაკებები. აქვეა ნაპოვნი 30 სმ. სიგრძის რკინისგან გამოჭედილი ოქროსსამკაულებიანი კერპი, რომელიც ძვ. წ. III ს. დაუკრძალავთ მონუმენტური შედსაფეხურიანი საკურთხეველის წინ. ცხადია, აქ აღონის-ატის-ოსირისის ტიპის მოკვდავი და გაცოცხლებადი ბუნების, ნაყოფიერების ღმერთის საწესო დაკრძალვა-დატირებასთან გვაქვს საქმე, რაც ზამთრის პირზე ხდებოდა ხოლმე. ადრეგაზაფხულზე კი, ბუნების გაღვიძებასთან ერთად, ეწყობოდა მისი აღდგომა-გაცოცხლების საწესო ცერემონიალი, მისტიკური. ამ წრეს ეკუთვნის და ამავე ხასიათის მატარებელია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფიქსირებული სამიწათმოქმედო-აგარარული ხასიათის დღესასწაულები — ბერიკაობა-ყენობის სახისა. ბერიკას წელზე ეკიდა ნაყოფიერების სიმბოლო „კონკილა“ — ფალოსი, რითაც მიწის ან, საერთოდ, განაყოფიერების იმიტაციას ასრულებდა. ბერიკაობაში, ხარებისა და სხვა ცხოველების ნიღბებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა არწივის ნიღაბი, რომელიც ასევე ძველ ნაყოფიერების კულტებთანაა დაკავშირებული. ძველი ვანის მიწა-წყალზე, სოფელ დაფნარში აღმოჩენილ ძვ. წ. IV ს. ადგილობრივ შავპრილა ლარნაკზე ამოკაწრულია ანტროპომორფული გამოსახულება — ფალოსიანი და არწივისთავიანი კაცი. ანალოგიური მოტივები ცნობილია ძველ აღმოსავლურ რელიგიებში (ურარტუ, ასირია, ფრიგია და სხვ.). არწივები იქ ნაყოფიერების ღვთაების მსახურებია, კეთილი სულები — დემონები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ნაყოფიერების ხესთან არიან დაკავშირებული. ანალოგიური სიუჟეტია გადმოცემული ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ძვ. წ. III ს. ერთ ბეჭედ-საბეჭდავზეც: სიცოცხლის ხე და მის გარშემო პირისპირ მდგომი არწივები. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ არწივების გამოსახულებანი ხშირად გვხვდება კოლხური

ანტიკური ხანის ძვ. წ. VI—III სს. გვერდებჩაჭრილ ბრინჯაოს ზარაკებზე, მათ ხომ აშკარად მაგიური დანიშნულება ჰქონდათ, ისევე როგორც ხევისბერების დროშა-სტანდარტებზე შებმულ ეუენებს.

თუ ქართულ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს მოვიშველიებთ, ენახავთ, რომ აქაც ღმერთების დიდ ღელას, ჩვეულებრივ, თეთრტიანი და დიდმკერდიან შიშველ ქალად წარმოიდგენდნენ. ზღაპრების თანახმად, ბაღში სიუხვის წყაროსთან დგას მისი სახლი, რომლის სვეტი ძვირფასი თვლებითაა შემკული. ღმერთების დიდი ღელის კულტის არსებობა საქართველოს ზღვისპირეთში ანტიკური ხანის წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, არიანეს, კაბადოკიის ლეგატს, ახ. წ. 142 წელს ქალაქ ფასის შესასვლელთან უნახავს „ფასიანელი ქალღმერთის“ ქანდაკება. მისი სიტყვებით, ის რეას ჰგავდა, რადგან ხელში წინწილა ეჭირა და მისი სავარძლის წინ ლომები იწვნენ. რეა-კიბელა მცირეაზიული ნაყოფიერების ღვთაება, ღმერთების დიდი ღელა, ღელამიწასთანაა გაიგივებული. მისი მეუღლე ატისი ჯერ მოკვდავ ქალიშვილს შეირთავს და მერე თავს იკლავს, რასაც ბუნების კვლამაც მოჰყვება. კიბელა მკვდრეთით აღადგენს მას და ქვეყანასაც სასიცოცხლო ძალები უბრუნდება. კიბელას სიმბოლოებს ლომები წარმოადგენდნენ, რომლებიც ასევე მზის კულტთან იყვნენ დაკავშირებული. „კოლხურ თეთრებზე“ ღმერთების დიდ ღელასთან, ფასისის ქალღმერთთან ერთად ლომებიცაა გამოსახული.

როგორც დაერწმუნდით, საქართველოში თავყანს სცემდნენ ბუნების სასიცოცხლო ძალებს, ნაყოფიერების ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისების პოლარულ ერთიანობას, ღელა-მიწისა და (მამა)-ზეცის ღვთაებრივ კავშირს, რაც ქართველი მიწათმოქმედის რწმენით, უმრეტე ნაყოფიერების სათავეა. ჩანს, ძველი ფალოსის კულტი ანტიკურ წარმართულ რელიგიაში ტრადიციულად დიდ როლს თამაშობდა და დღემდე შემორჩა ჩვენს ეთნოგრაფიულ ყოფას. რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კულტებს ანტიკური ხანის რწმენა-წარმოდგენებში, ჩანს საჩხერესთან, სოფელ საირხეში ძვ. წ. V—IV სს. წარმართული ტაძრის გათხრებისას აღმოჩენილი მასალებით. ესაა ლომის სკულპტურული თავები, სიცოცხლის ხის ფრაგმენტები და ასევე კირქვისაგან გამოთლილი ფალოსისა და ქტეისის ერთობლივი გამოსახულებანი. ეს მოწმობს, რომ დორიული არქიტექტურული ორდერის სტილში აგებული ტაძარი ადგილობრივი ნაყოფიერების ღვთაებების — „ღელა-მიწისა“

და „მამა-ზევის“ (მამაზევიერის ცნება ქართველ ქრისტიანებს წარ-
შართებისგან უნდა ჰქონდეთ ნასესხები) პატივსაცემად იყო აგე-
ბული. აპოლონიოს როდოსელი გვამცნობს, რომ კოლხთა უზენაესი
ღმერთები იყვნენ გეა (მიწა) და ურანი (ზეცა), ისინი იყვნენ კოლხთა
უპირველესი საფიცარიო. ვანის ნაქალაქარზე მიკვლეულია ტაძრები და
სამსხვერპლო-საკურთხევლები, განკუთვნილი როგორც ქტონური,
მიწისქვეშა, ასევე ზევის მკვიდრი ციური და ცეცხლის მფარველი
ღვთაებებისადმი. აქვე აღმოჩენილი ბერძნული წარწერა დოკუმენტუ-
რად ადასტურებს ნაყოფიერების კულტებისა და დიდი სატაძრო თქმის
არსებობას ძველ ვანში, რომელიც სურთუმად იწოდებოდა.

ამასთანავე, ანტიკური ხანის საქართველოში გავრცელებული დაკ-
რძალვის წესები მოწმობს, რომ ღედამიწა ჩვენშიაც წმინდა სტიქიად
ითვლებოდა და არ შეიძლებოდა მისი გვამით გაუწმინდურება. ამ მხ-
რივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ქვევრსამარხები, რომლებიც სა-
შოს იმიტაციადაა მიჩნეული და, რომლებშიც მიცვალებულები ემბ-
რიონის პოზაშია დაკრძალული. აღნიშნული წესი — ქვევრის მეშვეო-
ბით მიწისაგან იზოლაცია — ქრისტიანობის გავრცელებამდე არსებო-
ბდა ჩვენში და სიკვდილ-დაბადების, სიცოცხლის უწყვეტობის იდეას-
თან ჩანს დაკავშირებული. ქართველ წარმართებს სწამდათ იმქვეყნი-
ური ცხოვრება, ჭირისუფლებს ევალებოდათ მიცვალებულების სულე-
ბზე ზრუნვა და შესაბამისი მაგიური წესების შესრულება (საგანგებო
მსხვერპლშეწირვები, ალაპები, დასაკრძალავი ინვენტარი — პირადი
მოსმარების საგნები და სხვ.). „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ
ანტიკურ საქართველოში ჩამოყალიბებული ყოფილა გლოვის რიტუა-
ლი, არსებობდა სამგლოვიარო საწესჩვეულებო პოეზია, პოეტები —
„მგოსანნი გლოვისანი“ თხზავდნენ სამგლოვიარო, ხოტბით ლექსებს.
გლოვის მგოსნობა, მიცვალებულის სიტყვით ან სიმღერით დატირება,
ჩანს, წინაპართა ტრადიციულ კულტთან არის დაკავშირებული. უკვს
გარეშეა, რომ ანტიკურ ხანაში არსებობდა საკულტო პოეზია, მუსიკა
და ღვთისმეტყველება. არქეოლოგიური გათხრებით არაერთხელ აღმო-
ჩენილა ისეთი მუსიკალური საკრავები, როგორიცაა სალამური, დასა-
რტყმელი ინსტრუმენტები — „წინწალი“ და სხვ.

ქართულ წარმართულ პანთეონში თავისი განსაკუთრებული ადვი-
ლი ჰქონდა მიჩენილი წყლის კულტსაც. სტრაბონი გვამცნობს, რომ
კოლხეთში, იბერიის მოსაზღვრე მესხთა მიწა-წყალზე, არსებულა ლე-
კოთეას, თეთრი ქალღმერთის მდიდარი და სახელგანთქმული ტაძარი

სამისნიურთ, სადაც აკრძალული ყოფილა ვერძის მსხვერპლშეწირ-
ვა. ბერძნული მითოლოგიით ლეკოთეა, თეთროსანი, იგივე ინოა, გე-
ვენახეობა-მეღვინეობის საქართველოში ძალზე პოპულარული ღმერ-
თის დიონისეს (ქართული აგუნა) გამზრდელი, ზღვის, ნაყოფიე-
რების ქალღმერთია და, როგორც ჩანს, ამ ნიშნების გამო დაუკავშირა
სტრაბონმა ადგილობრივი კულტი ბერძნულ ლეკოთეას. ქართული მი-
თოლოგიის თანახმად, „წყლის ღედა“, წყლის ღვთაებები, „მესეფები“
და სხვ. თეთრებშია გამოწყობილი და დროდადრო მოველინებიან ადა-
მიანებს.

ბერძნული მითების თანახმად, წყლის ღმერთი — ფასისი მზის ჰელი-
ოსისა და ოკეანის ულამაზესი ქალიშვილის — ოკუროის შვილია. ჩვე-
ნამდე მოაღწია ახ. წ. III ს. ნეაპოლში დაცული არგონავტების თავ-
გადასავლისადმი მიძღვნილი სურათის — „მოთამაშენი“ ფილოსტრა-
ტესეულმა (უმცროსი) აღწერამ: „შენ ხედავ თვითონ მდინარის
ღმერთს, ლერწმნარის სიღრმეში მწოლიარეს, საშინელი შესახედაო-
ბისას: თმა მას ხშირი და ყალყზე შემდგარი აქვს, ხოლო ნიკაპი საზა-
რელი, თვალები მბრწყინავი. (წყლის) ნაკადი თავისი სიმრავლით იღ-
ვრება არა თასიდან, როგორც ჩვეულებრივ (გამოსახვენ), არამედ
მთლიანად მისგან მოედინება“. ცხადია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვე-
ვაში ბერძნული მითოლოგია ქართულ რელიგიურ სახეებს იყენებს.
ამგვარად, საქართველო არა მარტო განიცდიდა ბერძნულ-სპარ-
სული კულტების ზეგავლენას, არამედ თავადაც ასაზრდოებდა მათ
რწმენა-წარმოდგენებს. მაგალითად, ბერძნები თავყვანს სცემდნენ ათი-
ნა აზიელს, რომლის სამშობლო მათ კოლხეთში ეგულებოდათ. იგივე
იტქმის ომის ღმერთ არესთერეიტზე, პრომეთეზე (არამ-ხუტუ ამირანი)
სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ.

ამირანის ეპოსმა შემოგვინახა წყლის ღმერთის — „იგრის“ — „იგ-
რისის“ სახელი, რომელსაც მდინარე ინგირ-ინგურის სახელწოდება-
საც უკავშირებენ. ყამარი ზღვის მეფის, წვიმის მბრძანებლის ქალი-
შვილია. შავი გველემაპის ღედა შავი ზღვაა. ქართული ხალხური რწ-
მენა-წარმოდგენებით, ღმერთების საცხოვრებელი „ბატონების ქვეყა-
ნა“ ზღვისპირსაა, კლდის თავზე ან ყველა მხრიდან ზღვით გარშემო-
ტყმულ წალკოტში, კუნძულზე. ზღვის პირზეა განლაგებული კოპალას
სახნავი, საასპარეზო. წყლის სტიქიის თავყვანისცემის ნიშნები შეამჩ-
ნევა სევანურ საკულტო საგალობლებშიც: მოვარდნილი სტიქიონი ქვე-
ყნის აყრითა და წალკევით იმუქრება, რადგან „პატრონისთვის, შავი

ზღვისთვის მისართმეველ“ ძღვენი უნდა. წყლის კულტის მნიშვნელობა კარგად ჩანს მატერიალური კულტურის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა ე. წ. „ვეშაპოდები“, რომლებსაც ანტიკურ ხანაშიც სცემდნენ თაყვანს. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძლება წარმოშობილიყო ქართულ ენაში ისეთი სახის იდიომები, როგორიცაა „უკვდავების წყალი“, „ღვთის წყალობა“, „უწყალო“, „წყალობა“ და სხვ.

ქართულ ხალხურ ხელოვნებაში, მითოლოგიურ პოეზიასა თუ პროზაში, რომლებშიც ანტიკური ხანის მხატვრული აზროვნების ელემენტებიც უნდა იყოს არეკლილი, ტრადიციული თაყვანისცემის ობიექტები ისევ და ისევ ასტრალური ღვთაებები და მრავალფეროვანი ნაყოფიერების კულტებია. ანტიკურ სამყაროსთან კავშირი განსაკუთრებით განმტკიცდა ახ. წ. I—II სს., აღმოსავლური დესპოტიების დაქვინების ხანაში. გვიანანტიკურ ხანაში საქართველო მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს რომის იმპერიასთან. შესაბამისად, შესამჩნევად კლებულობს კულტურული ურთიერთობანი პართიულ ირანთან. ამ დროს ვრცელდება დიდი რაოდენობით რომაული საიუველირო ხელოვნების ისეთი საყურადღებო ნიმუშები, როგორიცაა გლაბტიკური ძეგლები, ჭრილა ქვები, პირადი საკუთრების აღმნიშვნელი გემიანი ბეჭედი, საბეჭდაეები, რომლებზედაც ამოკვეთილია ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებები: ზევსი, პელიოსი, აპოლონი, ათენა-მინერა, ათენა-პალადა, ციხე-ფორტუნა, ისიდა და სხვ. ისინი ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან იყვნენ ცნობილი და, როგორც ჩანს, მათზე მოცემული ღვთაებების სახეები ეკონოგრაფიულად აღვილობრივ კულტებს შეერწყნენ კიდევ. რადგან ბეჭდებზე გამოსახული ღვთაებები მათი მფლობელების მფარველად ითვლებოდა, ვარაუდობენ, რომ მათი დამზადება ადგილობრივ სახელოსნოებშიც ხდებოდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, მესხეთში, ერთ-ერთ ქალაქში ანდრია მოციქულს დახვედრია არტემიდას (რომაული მცენარეებისა და ცხოველთა მფარველი ღვთაება) და მისი ძმის (ბერძნულ-რომაული მზისდარი ღვთაების) აპოლონის ტაძარი. ეს „უწმინდური“ წარმართული ღმერთები არაერთხელ იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“, რაც ამ კულტების შემოდწევის მაჩვენებელია.

მხოლოდ ასეთ ვითარებაში იქნებოდა გასაგები იბერიის მეფის რევ მართლის ექსტი, როდესაც მან „თავსა ზედა მცხეთისასა“ დემონსტრაციულად აღმართა ბერძნულ-რომაული ნაყოფიერების ღვთაე-

ბის — აფროდიტეს ქანდაკება. არქეოლოგიური მონაცემებით მტკიცდება, რომ მთელ საქართველოში პოპულარული ყოფილა მეღვინეობა-მევენახეობის ღმერთი დიონისე. აღმოჩენილია მისი გამოსახულებები ბრინჯაოსა და თიხაში, მოზაიკური გამოსახულებები (ვანი, სარკინე, ძალისა და სხვ.).

სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, რომ იბერიის საზოგადოებრივ წყობაში, სოციალურ იერარქიაში ქურუმებს განსაკუთრებული, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირათ. მათი სოციალური პოზიციის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა მიწათმფლობელობა. მათ მფლობელობაში მყოფ მიწის მნიშვნელოვან მონაკვეთებს დამოკიდებული მოსახლეობა, „ტაძრეულები“ ამუშავებდნენ. ქურუმთა კორპორაციას („ქართლის ცხოვრების“ „ქურუმნი კერბთანი“) დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე, სადაც მათ მაღალი თანამდებობები ეკავათ. სხვათა შორის, მათ მეზობელ ქვეყნებთან დიპლომატიურ ურთიერთობათა წარმართვაც ევალებოდათ. მათ ხელში უნდა ყოფილიყო სწავლა-განათლების სისტემა.

ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიასა და კულტებთან ერთად არსებობას განაგრძობდა ტრადიციული ხალხური სარწმუნოება. ჩანს, ის ყველაზე ნაკლებად განიცდიდა უცხოური რელიგიების გავლენას. ის დაფუძნებული იყო ოჯახის მფარველი, ნაყოფიერების ღვთაებების თაყვანისცემის იდეაზე; კერიისა და სოლარული ორნამენტით შემკული ღვდაბოდის გარშემო სრულდებოდა მაგიური რიტუალები, რომლის ბოლომდე ამოძირკვა ქრისტიანობამაც ვერ მოახერხა და დღემდე შემორჩა ჩვენს ეთნოგრაფიულ ყოფას. არსებობდა მზის სამიწათმოქმედო კალენდარი, დღეობათა მთელი სისტემა, საგვარეულო საერთო-სახალხო დღესასწაულების ციკლი.

ამგვარი კულტები და რწმენა-წარმოდგენები შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაში. საქართველო ასეთი ქვეყანა იყო. სწორედ ამიტომ აქ დაახლოებით 7 ათასი წლის წინ ეს დარგი მკაფიოდ ასახულა კულტის სფეროში. ადრე ქცეულასაკულტო საგნად ხარის გამოსახულება და დასაბამი მისცემია ქართულ ტრადიციას, რომლის თანახმად ხარი მიწათმოქმედების სიმბოლოა. მისი გამოსახულებანი ადრე თიხისგან უკეთებიათ, შემდეგ — ბრინჯაოსგან. ანტიკური ხანის საქართველოში ხარი — ძველ მიწათმოქმედთა სიმბოლო — უძველეს ქართულ ფულზე, კოლხურ თეთრზე გამოჩნდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხარის საკულტო გამოსახულე-

ბებს ხშირად ახალი მთვარის მოყვანილობა აქვს (ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერათა რქისებური მოყვანილობა, თიხის პატარა სამფეხა ფიგურები, რომელთაც ასტრალური ნაჭდევეები აქვთ, ბრინჯაოს სამფეხა საკიდები, რომელთა გაშლილი რქები ხარის სახეს ქმნიან; ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა აგრეთვე ქართული ანბანის 34-ე ასო „ხარის“ მოყვანილობაზე, რომელიც ხარის რქებს გამოსახავს და მთვარის სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ, მისი სახელიც ხარს აღნიშნავს).

მკვლევართა ხელთ არსებული მასალები აჩვენებს, რომ მიწათმოქმედების კულტურის საგნები სულ უფრო ემსგავსება ახალი მთვარის გამოსახულებას. მაშასადამე, შინაარსითაც და გარეგნულადაც კანონზომიერი ჩანს უძველესი ქართული მიწათმოქმედების კულტის გადაზრდა მამა-ღმერთის, მთვარის, შემდეგ წმინდა გიორგის კულტში.

ანტიკური ხანის ქართულ წარმართულ პანთეონში, არმაზისა და ზადენის გვერდით, ქართული წყაროები ასახელებს გაცს და გაიმს. წმინდა ნინოს ცხოვრების ავტორი წერს: „კულად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი, და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ, რომელნი იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველი მოგვითხრობენ ვიდევ ორი ღვთაების შესახებ. ერთი მათგანის — ანინას კერპი, „მოქცევაჲს“ სიტყვით, საურმაგ მეფეს აღუმართავს, მეორისა — დანინას — მირიან მეფეს. ლეონტი მროველის მიხედვით კი საურმაგ მეფემ „შექმნა ორნი კერპნი ანინა და დანინა და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა“. ესენიც წინააზიური სახელების მქონე ღვთაებები ჩანან. ტრადიცია მათ არ მიიჩნევს პანთეონის მეთავე ღვთაებებად.

გაცილებით ნაკლები მასალა გვაქვს ქართული წარმართული პანთეონის იმ ღვთაებათა შესახებ, რომელთაც თაყვანს სცემდნენ დასავლეთ საქართველოში.

მზის გაღმერთების უძველესი ტრადიცია ნიადავს ქმნიდა იმისათვის, რომ საქართველოში ფეხი მოეკიდა წინა აზიის უძველესი მოსახლეობისაგან სპარსელების მიერ შეთვისებულ მითრას (მზის ღვთაების) კულტს. აქემენიდურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირს, კულტურულ სიახლოვეს საქართველოში მითრას — სიმართლისათვის მებრძოლი ღვთაების კულტის გავრცელება უნდა მოჰყოლოდა. ჩანს, მითრას კულტის გავრცელება უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, საერთოდ, მაზდეანობამ კი საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა, მიუხედავად ცალკეულ

მეფეთა და სპარსი მოგვების, ცეცხლის მსახურთა ცდისა — „სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება“ ცეცხლითა და მახვილით დაენერგათ. არც ცეცხლთაყვანისმცემელთა დღესასწაულები, „ზოტიკი“ და „ზოტიკობა“ მიიღო ქართველმა ხალხმა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ქართული კულტურისათვის უცხო აღმოჩნდა. ამასთანავე ჩანს, რომ „ავესტას“ გავლენით დამკვიდრებულან ქართულ ფოლკლორში ავი სულების ამსახველი ცნებები, როგორცაა დევები და ეშმაკები.

ანტიკური ხანის ქართულ წარმართულ პანთეონს თავისი დიდი დღესასწაულები უნდა ჰქონოდა. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულის შესახებ, რომელიც არმაზის პატივსაცემად იმართებოდა, საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს წმინდა ნინოს ცხოვრების ავტორი: „...და აჰა ესერა, იყო ხმა ობრისა და საყვირისა, გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყუავილნი ველისანი, და ზარი საშინელი გამოვიდოდა, და ჯერეთ მეფე არდა გამოსრულ იყო. და ვითარცა მოიწია ჟამი, იწყო სივლტოლა და მიდამომალვა ყოვლისა კაცისა, შიშითა საფარველსა თვისსა შეივლტოდა. და, აჰა, მყის გამოვიდა დედოფალი ნანა, და ნელიად მოვიდოდა ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვითოფერთა სამოსელითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თუალ-შეუდგამითა ხილვითა... და აღივსნეს მთანი იგი დროშებითა და ერითა, ვითარცა ველნი ყუავილითა“.

როგორც ვხედავთ, „არმაზობა“ გრანდიოზული ხასიათისაა. მისი ზეადმავალი ვნებათა ღელვანი წინასწარ დადგენილი ლოგიკური თანამიმდევრობით სრულდება. მართალია, ზეიმის ფინალი (იგი, ალბათ, გრანდიოზული სახელმწიფო მსხვერპლშეწირვით მთავრდებოდა) ისტორიო წყაროს არ შემოუნახავს, მაგრამ ის, რაც შემოგვრჩა, კარგად გვიხსნის, თუ რატომ შეარქვა ქართველობამ ამგვარ გამორჩეულ ზეიმს დღესასწაული.

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისი წილი დღესასწაული ჰქონდა ყველა ღვთაებას, განურჩევლად იმისა, თუ პანთეონის რომელ საფეხურზე იდგა იგი. ბევრი ამ დღესასწაულთაგან შემდგომში ქრისტიანიზებულ იქნა, თუმცა წარმართობის კვალი დღესაც საკმაოდ ნათლად შემოინახა, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში.